

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პროექტი: ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდა ინოვაციური მიდგომების გამოყენებით

ნინო სააკაშვილი

სსიპ თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ნაფარეულის საჯარო სკოლა, ბიოლოგიისა და ქიმიის სერტიფიცირებული მასწავლებელი

რეზიუმე

პროექტი მიზნად ისახავდა ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას, კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას VIII-XII კლასის მოსწავლეებში.

პროექტის ფარგლებში, ცხოვრების არაჯანსაღი წესის მავნე ზემოქმედების შესწავლის მიზნით, მოსწავლეები ჩაერთვნენ ტრენინგებში, კვლევებში, ექსპერიმენტებში, დებატებში და დისკუსიებში.

პროექტმა პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა ჩვენი სკოლის დაახლოებით 150 მოსწავლეზე. ინოვაციურმა მოდელმა, ინტერაქტიულმა სასწავლო და სათათბირო მეთოდებმა, დადებითი შეფასება დაიმსახურა მეგობარ სკოლებში და სიამოვნებით იქნა გაზიარებული მათ მიერ.

საკვანძო სიტყვები

პროექტი, ცხოვრების ჯანსაღი წესი, ინოვაციური მოდელი, ექსპერიმენტები, კვლევები, პრობლემების გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება.

პროექტებით სწავლება

პროექტი, როგორც მეთოდი განათლების სფეროში მე-20 საუკუნის დასაწყისში გახდა აქტუალური. პროექტით სწავლება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. პროექტგაკვეთილი - კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ან ინიციატივის განხორციელებისკენ მიმართული მრავალფეროვანი სამუშაოა, რომლის დროსაც ვითარდება კვლევითი, შემოქმედებითი, თანამშრომლობისა და საკომუნიკაციო უნარები. პროექტით სწავლება აქტიური და მიზანმიმართული სწავლის საშუალებას იძლევა. პროექტგაკვეთილი წარმოადგენს სწავლების განსაკუთრებულ ფორმას, სადაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად ფორმულირებულ თემას/საკითხს, პრობლემას მიმართავენ, რომლის დასამუშავებლად განავითარებენ გეგმას, მონაწილეობენ მის გადაჭრაში და ერთ საერთო პროდუქტს წარმოადგენენ. პროექტზე მუშაობა ნათელყოფს, რომ როგორც მასწავლებლის, ასევე

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

მოსწავლეების წინაშე სრულიად ახალი ამოცანები დგება, რომელიც არსებითად განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან. პროექტით სწავლება გულისხმობს სკოლისგარეშე დაწესებულების ჩართვას სასწავლო პროცესში. პროექტით სწავლებასთან ერთად იზრდება ორივე მხარის (როგორც მასწავლებლის, ასევე მოსწავლის) კომპეტენციის მოპოვების პოტენციალი და შესაძლებლობები. პროექტებზე მუშაობის პროცესი მოსწავლეს აყენებს აქტიური შემდეგნების როლში, რომელსაც წამოჭრილ პრობლემებთან გამკლავება უხდება. კერძოდ, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისას მოსწავლე აწყდება პრობლემას, რომლის გადაჭრაც უჭირს მხოლოდ იმ ცოდნით, რომელიც აქვს მას. ამ მიზნით იგი არკვევს, თუ რისი ცოდნაა საჭირო დასმული პრობლემის უკეთ გასაგებად. ამ პროცესში მოსწავლე აქტიურია, მიმართავს თვითგანათლებას, ეძებს საჭირო ინფორმაციას (წიგნებს, გამოკვლევებს, ანგარიშებს, ელექტრონულ ინფორმაციას) და ა.შ. ამის შემდეგ მოსწავლე, აღჭურვილი ახალი ცოდნით, კვლავ უბრუნდება პრობლემას და ახერხებს მის გადაჭრას. ბოლოს მოსწავლე აფასებს საკუთარ თავს. თვითშეფასება მოსწავლის არსებითი უნარ-ჩვევაა, რომელიც მას ეფექტიან, დამოუკიდებელ სწავლაში ეხმარება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, დღეს ძალიან აქტუალურია პროექტებით სწავლება. (1)

პროექტის შესახებ

ჩვენს მიერ განხორციელებული პროექტი არის ნაწილი უფრო დიდი პროექტისა, რომელიც განახორციელა ინოვაციური განათლების ფონდმა ამერიკის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. ინოვაციური განათლების ფონდი არის კორპორაცია ინტელის საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროგრამების განმახორციელებელი პარტნიორი საქართველოში. ფონდის დირექტორია მერაბ ლაბაძე, ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) სწავლა-სწავლებაში გამოყენების ექსპერტი და ელექტრონული მმართველობის კონსულტანტი. პროექტის სამიზნე აუდიტორია იყო საქართველოს სხვადასხვა რეგიონების (აჭარა, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, თბილისი, კახეთი) ექვსი სკოლის VIII-XII კლასის მოსწავლეები. ჩვენს სკოლას ხვდა პატივი ყოფილიყო პროექტში კახეთის წარმომადგენელი.

პრობლემა: ქართველი მოზარდების წინაშე დგას ცხოვრების ჯანსაღი წესის შეგნებული არჩევანის პრობლემა. ბევრი ბავშვი არის მავნე პროდუქტების ზემოქმედების ქვეშ, რადგან ისინი არიან სწრაფი კვების პროდუქტების ხშირი მომხმარებლები. მოზარდები აქტიურად მოიხმარენ თამბაქოს და ალკოჰოლს. კვლევების თანახმად, მათ შორის ჩვენს მიერ ჩატარებული, უფროსკლასელთა 12 % არის რეგულარული მწვეველი, მიუხედავად იმისა, რომ თამბაქოს გაყიდვა არასრულწლოვანებისთვის კანონით ისჯება. ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის კუთხით ბევრი პროექტია განხორციელებული, მაგრამ სიტუაცია პრაქტიკულად არ შეცვლილა.

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

პრობლემისადმი ინოვაციური მიდგომა გულისხმობს ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდას ინოვაციური საგანმანათლებლო მეთოდოლოგიებით. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა აქტივობებში, უშუალოდ მონაწილეობენ სწავლებებში, ექსპერიმენტებში და კვლევით პროცესებში. მოსწავლეები არიან „მეცნიერები“, რომლებიც ატარებენ კვლევებს ცხოვრების ჯანსაღი წესის უპირატესობის დადგენის მიზნით. მასწავლებელი არის მოდერატორის როლში, მისი ჩართულობა პროცესებში არის მინიმალური.

პროექტის მეთოდოლოგია: მოსწავლეთა ტრენინგები, კვლევები, ექსპერიმენტები, დისკუსიები, დებატები, მოსწავლეების მიერ წარმოებული ბლოგები. მეთოდოლოგია მიმართულია კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშეწყობისთვის, ანალიზის, სინთეზის, დაკვირვების, ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დასკვნების გაკეთების გზით. (2)

მინიპროექტი პროექტში

ჩვენი გუნდის მინიპროექტი:

„ზოგიერთი ნივთიერების მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე“

მოსამზადებელი ეტაპი

- ტრენინგი მოსწავლეებისთვის გუნდურობის და გუნდური მუშაობის უპირატესობის შესახებ;
- სემინარი მოსწავლეებისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ;
- ტრენინგი დებატების, დისკუსიის ელემენტების გამოყენებით;
- გუნდების ფორმირება;
- ბლოგების შექმნა;
- ტრენინგი სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოებისთვის მოსამზადებლად (მეთოდოლოგიის გაცნობა)

პრაქტიკული სამუშაოები

დებატები თემებზე:

ალკოჰოლის ზომიერი მოხმარება დაშვებულია;

მოწევა აკრძალული უნდა იყოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

საძიებო კითხვები:

რატომ არ უნდა მოვწიოთ სიგარეტი?

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

რატომაა მავნებელი ალკოჰოლის მოხმარება?

რატომ უწოდებენ სუფრის მარილს თეთრ სიკვდილს?

აქტივობები:

- კვლევა **თამბაქოს მოხმარების** შესახებ ნაფარეულის საჯარო სკოლის უფროსკლასელებში სპეციალური თემატური კითხვარის საშუალებით **(150 რესპოდენტი)**;
- კვლევა **კვების თავისებურებების** შესახებ ნაფარეულის საჯარო სკოლის უფროსკლასელებში სპეციალური თემატური კითხვარის საშუალებით **(150 რესპოდენტი)**;
- კვლევის შედეგების ანალიზი, დიაგრამების გაკეთება, დასკვნების გაკეთება, შედეგების ინტერპრეტირება, პრეზენტაციების მომზადება და წარდგენა მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის;
- **ნიკოტინზე (თამბაქოზე) და ეთილის სპირტზე (ალკოჰოლზე)** ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციების მომზადება power point - ში.
- **ნატრიუმის ქლორიდის (სუფრის მარილის)** საჭიროებების და მოხმარების შესახებ ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაციის მომზადება power point - ში. (3)
- **ექსპერიმენტების** დაგეგმვა და ჩატარება ორგანიზმზე თამბაქოსა და ალკოჰოლის მავნე ზემოქმედების დემონსტრირების მიზნით; (4)
- **ექსპერიმენტების** დაგეგმვა და ჩატარება ორგანიზმზე ჭარბი სუფრის მარილის მავნე ზემოქმედების დემონსტრირების მიზნით; (5)
- **ექსპერიმენტების შედეგების ანალიზი**, დასკვნების გაკეთება, შედეგების შესაბამისობა თავდაპირველად გამოთქმულ ჰიპოთეზებთან, პრეზენტაციების მომზადება;
- თემატური **ფლანგების და პოსტერების** მომზადება;
- მინიპროექტის **დასკვნითი პრეზენტაცია** სკოლაში მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლებისა და თემის სხვა წარმომადგენლების წინაშე, პოსტერების გამოფენა;
- პრეზენტაციები მეზობელ სკოლებში;
- პროექტის **დასკვნითი კონფერენცია ბორჯომში**, სადაც პრეზენტაციებით წარსდგნენ მოსწავლეები პროექტის მონაწილე სხვა სკოლების მოსწავლეებისა და მასწავლებლების, აგრეთვე, პროექტის ორგანიზატორების წინაშე.

ჩატარებული კვლევების შედეგები

- უფროსკლასელ მოსწავლეთა **58%** სკოლაში მოდის მშვიერი, საუზმის მიღების გარეშე;
- გამოკითხულ მოსწავლეთა **24%** საკვების პირველ ჯერს იღებს სკოლიდან დაბრუნების შემდეგ;

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

- რესპოდენტთა უმეტესობამ იცის თამბაქოს მავნებლობის შესახებ, თუმცა გამოკითხულ ვაჟთა **12%** მაინც არის თამბაქოს სტაბილური მომხმარებელი;
- სუფრის მარლის ჭარბი მოხმარება იწვევს სითხის დაგროვებას ორგანიზმში, რის შედეგადაც ჩნდება შეშუპებები, იზრდება დატვირთვა გულზე, სისხლძარღვებზე და თირკმელებზე; იწვევს მადის მომატებას, რასაც მოჰყვება ჭარბწონიანობა; იწვევს ჰიპერტონიას (წნევის მომატებას).
- პროცესების მოდელირებისთვის ჩატარდა ექსპერიმენტები ოსმოსზე;
- მოსწავლეებმა ექსპერიმენტის შედეგად ნახეს შთამბეჭდავი ლაქა ფილტრის ქალაქში, რომელიც დარჩა მასზე სიგარეტის კვამლის გავლის შემდეგ;
- მოსწავლეებმა ნახეს ეთილის სპირტის ზემოქმედება კვერცხის ცილაზე.

მონიტორინგი

პროექტში ჩართული სკოლების მოსწავლეები თავიანთ ბლოგებზე რეგულარულად ათავსებდნენ ანგარიშს კვლევითი პროცესების შესახებ. სხვადასხვა სკოლების მოსწავლეები ერთმანეთს აძლევდნენ უკუკავშირს. ბლოგების მეშვეობით ხდებოდა ურთიერთობა პროექტის ხელმძღვანელებთან, რომლებიც ასევე აფასებდნენ მოსწავლეთა აქტივობებს.

მინიპროექტის შედეგები

- თითქმის ყველა მწველმა მოსწავლემ (**90%**) თავი დაანება მოწვევას;
- ბევრმა მოსწავლემ (**95%**) შეამცირა სწრაფი კვების პროდუქტების მოხმარება;
- ბევრმა მოსწავლემ (**68%**) ჩვევად გაიხადა დილით საუზმის მიღება;
- პროექტმა ზეგავლენა მოახდინა ჩვენი სკოლის დაახლოებით 150 მოსწავლეზე.
- შეიქმნა რესურსი ბლოგის სახით, რომელიც ღიაა ინტერნეტმომხმარებლებისთვის და შეიცავს ბევრ საინტერესო მასალას; (6)
- გაიზარდა მოსწავლეთა ინტერესი საბუნებისმეტყველო საგნების მიმართ საგაკვეთილო პროცესშიც;
- პროექტი საინტერესო აღმოჩნდა სხვა სკოლებისთვისაც, რომლებმაც შემოგვთავაზეს თანამშრომლობა სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე;
- მოსწავლეთა თვითშეფასება აღმოჩნდა ძალიან მაღალი, მათ გამოთქვეს მსგავს პროექტებში მონაწილეობის სურვილი და მზაობა;
- მივიღეთ დადებითი უკუკავშირი სკოლის ადმინისტრაციის და მშობლების მხრიდან;
- პროექტის ფარგლებში კლუბს გადმოეცა საჩუქრები: ციფრული მიკროსკოპი, ციფრული ფოტოაპარატი, მეხსიერების ბარათები, ბიოლოგიის ატლასები,

The 4th Teacher Conference “**University and School**” (Problems of Teaching and Education)

The exchange of Good Practices

17 October, 2015, Materials

ქიმიური ჭურჭელი, რეაქტივები, გამზომი ხელსაწყოები, საკანცელარიო მასალები და სხვა.

დასკვნა

- ამ პროექტმა ხელი შეუწყო მოსწავლეთა გამჭოლი კომპეტენციების და XXI საუკუნის სხვადასხვა აუცილებელი უნარ-ჩვევების განვითარებას, ისეთებს, როგორცაა: პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაჭრის გზების ძიება, გუნდური მუშაობა, ინფორმაციის მოძიება სხვადასხვა წყაროებიდან და მისი დახარისხება, თემატური კვლევების და ექსპერიმენტების დაგეგმვა/განხორციელება, შედეგების ანალიზი და მათი წარმოდგენა სხვადასხვა საშუალებებით, თვითშეფასება და სხვ.
- ასეთი პროექტები ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას. ეს იმ ფონზე, როდესაც სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ტექნოლოგიების იმ მიმართულებების განვითარებას, რომელიც შეუძლებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების დონის ამაღლების გარეშე;
 - პროექტზე მუშაობა დამეხმარა მე, როგორც მასწავლებელს, პროფესიულ ზრდაში და კომპეტენციების ამაღლებაში, რადგან მასწავლებელი პროფესიულ სტანდარტს აკმაყოფილებს იმ შემთხვევაში, თუ იგი
- ირჩევს მოტივაციის ამაღლების შესაბამის სტრატეგიებს;
- მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, გეგმავს კლასგარეშე აქტივობებს;
- მოიძიებს და პრაქტიკაში ნერგავს სწავლების ინოვაციურ სტრატეგიებს;
- მოიძიებს და იყენებს სასწავლო მიზნის შესაბამის რესურსებს, მათ შორის -ციფრულს;
- უზიარებს კოლეგებს პედაგოგიურ გამოცდილებას;
- ეცნობა პროფესიულ ლიტერატურას და პრაქტიკაში აქტიურად ნერგავს სიახლეებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

4. http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=19&id=744
5. http://mastsavlebeli.ge/uploads/portfolio/sofiko_lobjanize_2.pdf
6. <https://www.wikipedia.org/>
7. <http://www.kmo.org.pl/index.php?strona=scenariusze&start>
8. <https://www.youtube.com/>
9. <http://ratomsaidanristvis.blogspot.com/>